საგანი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი

დასკვნითი გამოცდის საკითხები,

2016-2017 სასწავლი წელი, შემოდგომის სემესტრი

გამოცდა ჩატარდება შერეული ფორმით,

ერთი თეორიული საკითხი და ერთი კაზუსის ამოხსნა.

შეფასდება 15-15 ქულის ფარგლებში. Gგამოყოფილი დრო 3:30 სთ.

საკითხები მოვა ვარიანტების მიხედვით. შესაძლებელია რამდენიმე საკითხი გაერთიანდეს ან რომელიმე გაიყოს. სტუდენტი ვარიანტში მითითებული ოთხი საკითხიდან საკუთარი არჩევანით

დაწერს მხოლოდ რომელიმე ერთ საკითხს. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება რამდენად სრულად პასუხობს ტექსტი საკითხს.

შენიშვნა: სტუდეტს ევალება საკითხები მოამზადოს როგორც სახელმძღვანელოდან ასევე კოდექსიდან.

1. საჯარო მმართველობის ცნება და არსი, საჯარო მმართველობის ელემენტები, ორგანიზაციული მოწყობა, ელექტრონული მმართველობა, ადმინისტრაციული ორგანო, თანამედროვე სახელმწიფო, როგორც მმართველი სახელმწიფო.
2. ადმინისტრაციული სამართლის სისტემა, წყაროები, ადმინისტრაციული სამართლის და კერძო სამართლის გამიჯვნა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფერო.
3. დისკრეციული უფლებამოსილება, ცნება და არსი, საფუძვლები, შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და მისი სამართლებრივი შედეგები, განუსაზღვრელი ცნებები, შეფასების თავისუფალი სივრცე.
4. კანონიერების პრინციპი, კანონის წინაშე თანასწორობა, საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა, საქვეყნოობა და საიდუმლოობა, თანაზომიერების პრინციპი, კეთილსინდისიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპი.
5. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების მნივნელობა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება და მნიშვნელობა, ცნების ელემენტების განმარტების სასამართლოს

პრაქტიკა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეები, ოფიციალური გაცნობა.

6. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და უკანონობა, კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ფორმალური და მატერიალური კანონიერება, ფორმალური კანონიერება, მატერიალური კანონიერება, უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არარა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
7. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით, ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტების გამიჯვნა ადრესატზე მათი სამართლებრივი შედეგების მიხედვით, ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტების სამართლებრივი ბუნება.
8. აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, მხარის კანონიერი ნდობა და კომპენსაცია.
9. ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება, ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.
10. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება, ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება.
11. რეალაქტის ცნება, გამოვლენის ფორმები, სამართლებრივი საფუძვლები.
12. ადმინისტრაციული ნების გამოვლება.
13. ადმინისტრაციული ხელშეკრულება, მისი საკანონმდებლო საფუძველი, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება, ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნა კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან. ადმინისტრაციული ხელშეკრულება და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმალური და მატერიალური კანონიერება, ბათილობა.

14. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, წარმოების ენა, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილენი/სუბიექტები და მათი უფლებები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, აცილება და თვითაცილება ადმინისტრაციულ წარმოებაში, წარმომადგენელი ადმინისტრაციულ წარმოებაში, დაინტერესებული მხარის მონაწილება ადმინისტრაციულ წარმოებაში, ადმინისტრაციული წარმოების ვადა. საქმის გარემოებათა და მტკიცებულებათა გამორკვევა ადმინისტრაციულ წარმოებაში, ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება, გადაწყვეტილების მიღების პროცესი და გადაწყვეტილების მიღება.

15. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება. თავისებურებანი, დაინტერესებული მხარის მონაწილეობა, ზეპირი მოსმენა, მისი ჩატარების წესი, გადაწყვეტილების მიღების წესი, მოწმე და ექსპერტი.

16. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების თავისებურება. საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენა, საკუთარი მოსაზრების წარდგენის წესი, აქტის პროექტის მომზადება და საჯარო გაცნობისათვის წარდგენა, ზეპირი მოსმენა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, გადაწყვეტილების მიღება.

17. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში, წარმოების წესი, სხდომის მიმდინარეობის წესი, კვორუმი, სხდომის ოქმი, ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად, პროექტის გამოქვეყნება, დასკვნის და საკუთარი მოსაზრების წარმოდგენა, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა.

18. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი. სავალდებულოობა, დანიშვნის წესი, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის დაუშვებლობა.

19. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება. ცნება, არსი, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის ვალდებულება, აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანო, აღსრულების საფუძველი, აღსრულების წესი, გადაწყვეტილება აქტის აღსრულების უზრუნველყოფის

შესახებ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებები, სხვა პირისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება, ჯარიმა, უშუალო იძულება. ფულადი მოთხოვნების აღსრულება.

20. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. ადმინისტრაციული საჩივრის ცნება, წარმოების სახე და სამართლებრივი საფუძველი, საჩივრის წარდგენა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილი სუბიექტი, საჩივრის წარდგენის სამართლებრივი შედეგი, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი და გადამწყვეტი ორგანო (უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო/თანამდებობის პირი). წარმოების მიმდინარეობა. ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა და დასაშვებობა, ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე და განხილვაზე უარის თქმა, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადები, გასაჩივრების სუსპენზიური ეფექტი (გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება), ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული წარმოების მოცულობა, ადმინისტრაციული საჩივრის დასაბუთებულობა (ფორმალური კანონიერება, მატერიალური კანონიერება), საფუძვლიანობა, დაინტერესებული მხარის უფლებები, ზეპირი მოსმენის ჩატარების პირობები, გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღება კანონიერებისა და მიზანშეწონილობის საფუძვლით. უკანონო და არარა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანოს/პირის უფლებამოსილება გააუქმოს, შეცვალოს გასაჩივრებული აქტი ან გამოსცეს ახალი (ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება).

21. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ზიანის ანაზრაურების ვალდებულების სახელმწიფოსთვის დაკისრების საფუძვლები. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ზიანი, სამსახურებრივი მოვალეობა სხვა პირის მიმართ, ზიანის ობიქტი, ბრალი, როგორც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის ელემენტი, ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სამართლებრივი საფუძველი (სამოქალაო კოდექსი, მუხ. 1005), მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების

წარმოშობის გამომრიცხველი გარემოებები. ზაკ-ის 209-ე მუხლი (სახელმძღვანელო, პარაგრაფი 44). საკუთრების უფლების არაპირდაპირი შეზღუდვა. ზოგადი, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი, სახელმწიფოს პასუხიმგებლობა ბრალის გარეშე მიყენებული ზიანისათვის, სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობა კანონიერი საჯარო-სამართლებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის. კანონიერი მმართველობითი ქმედების გაუთვალისწინებელი გვერდითი მოვლენა, ხელყოფის უშუალობა, განსაკუთრებული ქონებრივი მსხვერპლი, სამართლებრივი შედეგი.

22. ინფორმაციის თავისუფლება (სზაკ. თავი 3.). ინფორმაციის თავისუფლების არსი, სამართლებრივი საფუძვლები, საჯარო ინფორმაციის ცნება, ვის აქვს უფლება გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტი, პასუხისმგებელი პირი, საჯარო ინფორმაციის ფორმა, ღია და დახურული საჯარო ინფორმაცია, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომების საჯაროობა, საჯარო ინფორმაციის გაცემა დაუყოვნებლივ, საჯარო რეესტრი, საქმის წარმოების მართვის ავტომატური საშუალებანი, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პერსონალური მონაცემები, პერსონალური მონაცემებს მიკუთვნებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. ზიანის ანაზღაურება, ანგარიშის წარდგენა.